დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N53 ოქმით
განახლებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N150 ოქმით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის და წახალისების წესი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება ხორციელდება წინამდებარე წესით.

მუხლი 1. ფინანსური წახალისების სახეები

1.1 თსა-ში არსებობს ერთჯერადი და სემესტრული ფინანსური წახალისება.

1.2 სასწავლო ფინანსური წახალისება ხორციელდება ყოველსემესტრულად, მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს მომდევნო ერთი სემესტრის განმავლობაში;

1.3 ერთჯერადი ფინანსური წახალისება ხორციელდება წინამდებარე წესის 2.4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2. ფინანსური წახალისების განხორციელების კრიტერიუმები

2.1 ფინანსური წახალისების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წინა სემესტრის შედეგების საფუძველზე;

2.2 ფინანსური წახალისების გაცემისთვის აუცილებელი პირობაა სტუდენტის მაღალი აკადემიური მოსწრება (წინა სემესტრის GPA - 4.0) და დამატებით, სტუდენტის საზოგადოებრივი, სოციალური, კულტურული, სპორტული, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა. კერძოდ, თსა-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის სამეცნიერო (სამეცნიერო პროექტ(ებ)ში მონაწილეობა, ან სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ის (თანა)ავტორობა, ან კონფერენციაში მონაწილეობა ზეპირი/პოსტერული მოხსენებით) ან/და სოციალურ აქტივობებში (სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი მოხალისეობრივი საქმიანობა, სპორტულ/კულტურულ/საგანმანათლებლო/სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა აქტივობა რაც თსა-ს ცნობადობისა და რეპუტაციის გაზრდას უწყობს ხელს).

2.3 წინამდებარე წესის 2.2 პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თსა-ს უცხოელი სტუდენტების ფინანსური წახალისების ოდენობა განისაზღვრება 1000 აშშ დოლარით სემესტრის განმავლობაში, რომელიც გამოაკლდება სტუდენტის სემესტრულ გადასახადს. ხოლო ქართველი სტუდენტები მთლიანად თავისუფლდებიან მომდევნო სემესტრში სწავლის გადასახადისგან.

2.4 ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული ქართველი/ ან საქართველოს მოქალაქე პირველკურსელებისთვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება ხორციელდება შემდეგნაირად: სტუდენტი თავისუფლდება თსა-ს სწავლის საფასურის გადახდისგან სახელმწიფო გრანტის შესაბამისი თანხის 50%-ის ოდენობით პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

მუხლი 3. ფინანსური წახალისების პროცედურა

3.1 სემესტრის დასრულების შემდეგ აკადემიური მონაცემების საფუძველზე მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი დეკანს წარუდგენს იმ სტუდენტთა სიას, რომელთა სემესტრული GPA უდრის 4.0-ს და აწვდის ინფორმაციას კონკურსის პირობების შესახებ შესაბამის სტუდენტებს, 10 დღის ვადაში პრეტენდენტმა სტუდენტმა მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს უნდა მიაწოდოს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი განაცხადთან ერთად, სადაც მითითებულია მის მიერ განხორციელებული აქტივობები;

3.2 მედიცინის სკოლის დეკანი წინამდებარე წესის 3.1 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების მითითებით, წარდგინებით მიმართავს თსა-ს რექტორის საბჭოს კანდიდატების სიით და თანდართული დოკუმენტებით;

3.3 რექტორის საბჭო განიხილავს წარდგინებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას

3.4 წარდგინებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია სკოლის დეკანი.

მუხლი 4. სოციალურად მოწყვლადი და სსსმ პირების მხარდაჭერის მოქმედი მექანიზმები

4.1 თსა ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს სხვადასხვა სახის მხარდამჭერ ღონისძიებას.

4.2 თსა-ს შემუშავებული აქვს მხარდაჭერის შიდა კრიტერიუმები სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის, რომლებიც არიან:

4.2.1 სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან

4.2.2 დევნილები და იძულებით გადადგილებულები ოჯახებიდან

4.2.3 ორმხრივად ან ცალმხრივად ობოლი, მარჩენალის გარეშე

4.2.4 მარტოხელა მშობელი

4.2.5 ხანგრძლივად უმუშევარი ოჯახებიდან (2 ან 3 წელზე მეტი ვადით)

4.3 ზემოაღნიშნული კატეგორიის სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით თსა-ში შექმნილია სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის კომიტეტი, რომელიც იღებს სათანადო გადაწყვეტილებას სტუდენტთა მომართვის (ზეპირი ან წერილობით) საფუძველზე.

4.4 ზემოაღნიშნული კატეგორიის სტუდენტებს თსა დაუფინანსებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური გრანტის 30%-ს.

4.5 სსსმ და შშმ პირების სასწავლო პროცესში ჩართულობა და გონივრული მისადაგების პრინციპის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხარდამჭერ და მისაწვდომ სასწავლო გარემოზე, რომელიც თსა-ში უზრუნველყოფილია საჭირო საგანმანათლებლო რესურსითა და ადაპტირებული გარემოთი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს რექტორის საბჭო.

5.2 წინამდებარე წესი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.

5.3 წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება მისი დამტკიცების წესით.